

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე „ორგანულ კანონში პროკურატურის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე”

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის შემუშავება განპირობებულია იმ სისტემური ცვლილებებით, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია სასჯელაღსრულების ორგანოებში და რომელსაც ასევე ითვალისწინებს „პატიმრობის კოდექსის“ ახალი პროექტი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მიზანია „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში იმ სისტემური ცვლილებების ასახვა, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია სასჯელაღსრულების ორგანოებში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის შესაბამისად, ტერმინი „თავისუფლების აღკვეთის ადგილები“ იცვლება ტერმინით „თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები“, რაც შესაბამისად არის ასახული საქართველოს ორგანული კანონის პროექტში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობით, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

საქართველოს ორგანული კანონის პროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტის ავტორია საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი
საქართველოს ორგანული კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.